



**კავკასიის უნივერსიტეტი**  
**კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა**

**ს ი ლ ა ბ უ ს ი**

სასწავლო კურსის დასახელება	<b>საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობა</b>							
სასწავლო კურსის კოდი	G	L	O	B	0	0	5	0
სასწავლო კურსის ანოტაცია	<p>სასწავლო კურსი სტუდენტებს აცნობს საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის ძირითად თეორიულ მიდგომებს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინისა და მშვიდობის კვლევების ფარგლებში. კურსი აანალიზებს როგორც სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტებს, ისე სახელმწიფოთა შიდა კონფლიქტებს, რომლებშიც საერთაშორისო მოქმედი პირები არიან ჩართული. სასწავლო კურსი ასევე მიმოიხილავს სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო კონფლიქტების (ომების, ეთნიკური კონფლიქტების და ა.შ.) შეჩერებისა და მხარეებს შორის მშვიდობის დაცვის, დამყარებისა და მშენებლობის გზებს. ამ მხრივ, ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა: საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციები - გაერო-ს, ნატო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სამშვიდობო მისიები, საერთაშორისო მედიაცია და მოლაპარაკებები, კოლექტიური უსაფრთხოება, დაცვის პასუხისმგებლობა და ჰუმანიტარული ინტერვენციები, პოსტკონფლიქტურ პერიოდში სახელმწიფოს მშენებლობა-რეკონსტრუქცია, კონფლიქტის მხარეების შერიგება და მათ შორის ნდობის აღდგენა.</p>							
სასწავლო კურსის სტატუსი	<input type="checkbox"/> საფალდებულო <input checked="" type="checkbox"/> არჩევითი							
ECTS	5 ECTS კრედიტი							
სკოლა, საფეხური, ჯგუფი, ვისაც ეკითხება სასწავლო კურსი	სკოლა				სახელმწიფო მართვის სკოლა			
	სწავლის საფეხური				<input type="checkbox"/> ბაკალავრიატი, <input checked="" type="checkbox"/> მაგისტრატურა <input type="checkbox"/> დოქტორანტურა			
	ჯგუფი				სწავლების სემესტრი			

ლექტორი:	<b>თორნიკე თურმანიძე</b>
სამუშაო ადგილი	<p>კავკასიის უნივერსიტეტი, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა;</p> <p>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.</p>
აკადემიური ხარისხი	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
აკად. თანამდებობა	ასოცირებული პროფესორი
სამსახურის ტელეფონი	
მობილური ტელეფონი	577 528300
ელ-ფოსტა	<a href="mailto:tornike_t@hotmail.com">tornike_t@hotmail.com</a> , <a href="mailto:torniketurmanidze@gmail.com">torniketurmanidze@gmail.com</a>
კონსულტაციის დრო	შეთანხმებით

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	არ გააჩნია
--	------------

სასწავლო კურსის ფორმატი	125 საათი: 30 საკონტაქტო საათი; 95 საათი ინდივიდუალური მუშაობისთვის	
ლექცია	15 საათი	13 კვირა, კვირაში 1-2 საკონტაქტო საათი
სემინარი/წერიითი გამოკითხვა	3 საათი	3 კვირა, კვირაში 1 საკონტაქტო საათი
სემინარი/პრეზენტაცია	8 საათი	8 კვირა, კვირაში 1 საკონტაქტო საათი
კონსულტაცია	2 საათი	2 კვირა, კვირაში 1 საკონტაქტო საათი
შუალედური გამოცდა	2 საათი	
საბოლოო გამოცდა	3 საათი	
სხვა	95 საათი	დამოუკიდებელი მუშაობის საათები

სასწავლო კურსის მიზანი	<p>სასწავლო კურსის მიზანია, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინისა და მშვიდობის კვლევების ფარგლებში, სტუდენტებს გააცნოს საერთაშორისო კონფლიქტებისა და მშვიდობის შესწავლასთან დაკავშირებული ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხები - ეს შეეხება როგორც სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტებს, ისე სახელმწიფოთა შიდა კონფლიქტებს, რომლებშიც საერთაშორისო მოქმედი პირები არიან ჩართული. სასწავლო კურსის პირველ ნაწილში საერთაშორისო კონფლიქტების მიზეზები და მათი მოგვარების გზები საერთაშორისო ურთიერთობებისა და კონფლიქტების მოგვარების როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე თეორიების კუთხით შეისწავლება. კურსის მეორე ნაწილში კი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო კონფლიქტების შეჩერებისა და მხარეებს შორის მშვიდობის დაცვის, დამყარებისა და მშენებლობის პრობლემატიკას, კერძოდ, ისეთ საკითხებს, როგორცაა: საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციები - გაერო-ს, ნატო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით განხორციელებული სამშვიდობო მისიები, საერთაშორისო მედიაცია და მოლაპარაკებები, კოლექტიური უსაფრთხოება, დაცვის პასუხისმგებლობა და ჰუმანიტარული ინტერვენციები, საერთაშორისო დახმარებით პოსტკონფლიქტურ პერიოდში სახელმწიფოს მშენებლობა-რეკონსტრუქცია, კონფლიქტის მხარეების შერიგება და მათ შორის ნდობის აღდგენა.</p>
------------------------	--

სწავლის შედეგი	<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება: კურსის გავლის შედეგად, სტუდენტებს ეცოდინებათ, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინასა და მშვიდობის კვლევებში, საერთაშორისო კონფლიქტების მიზეზებისა და მშვიდობის დამყარების გზების შესახებ არსებული კლასიკური და თანამედროვე თეორიული ხედვები, აგრეთვე საერთაშორისო კონფლიქტებსა და მათ მოგვარებასთან დაკავშირებული ძირითადი პრაქტიკული საკითხების არსი და პრობლემატიკა.</p> <p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი სტუდენტები ფართო კარიერულ სპექტრში შეძლებენ საერთაშორისო კონფლიქტებისა და მათი მოგვარების გზების შესახებ შეძენილი ცოდნის გამოყენებას: საჯარო სამსახურში, აკადემიურ სფეროში, ბიზნესში, არასამთავრობო სექტორში, და ა.შ.</p> <p>გ) დასკვნის უნარი მიღებული ცოდნის მეშვეობით, სტუდენტები შეძლებენ როგორც წარსული, ისე თანამედროვე საერთაშორისო კონფლიქტების მიზეზების, სხვადასხვა თეორიული კუთხით, გაანალიზებასა და მათ მოსაგვარებლად გადადგმული ნაბიჯების კრიტიკულად შეფასებას; აგრეთვე, ამ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებების ჩამოყალიბებას.</p> <p>დ) კომუნიკაციის უნარი სტუდენტები შეძლებენ საერთაშორისო კონფლიქტებთან, ასევე მშვიდობის დაცვასთან, დამყარებასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხების საჯარო განხილვასა და საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებების ზეპირად თუ წერილობით კომუნიკაციას.</p> <p>ე) სწავლის უნარი სტუდენტები შეიძენენ საერთაშორისო კონფლიქტებისა და მშვიდობის კვლევების სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და თეორიული სიახლეების შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარს.</p> <p>ვ) ღირებულებები სტუდენტებს შეეძლებათ მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტებისა და მათი მოგვარებისკენ გადადგმული ნაბიჯების მიმართ საკუთარი ღირებულებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ისევე როგორც სხვების (როგორც პოლიტიკოსების, ისე მკვლევარების) ღირებულებების შეფასება.</p>
----------------	---

სავალდებულო ლიტერატურა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. Oliver Richmond, <i>Peace in International Relations</i> (Abingdon: Routledge, 2008)</li> <li>2. Oliver Ramsbotham, Tom Woodhouse and Hugh Miall, <i>Contemporary Conflict Resolution</i> (Cambridge: Polity Press, 3rd edition, 2011)</li> </ol>
------------------------	---

დამხმარე ლიტერატურა და ინფორმაციის სხვა წყაროები	<ol style="list-style-type: none"> <li>1. Paul D. Williams (ed), <i>Security Studies: An Introduction</i> (Abingdon and New York: Routledge, 2008)</li> <li>2. Paul R. Viotti, Mark V. Kauppi (eds.), <i>International Relations Theory</i> (New York: Pearson Longman, 5th Edition, 2012)</li> </ol>
--	---

სწავლებისა და სწავლის მეთოდები	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი</li> <li>2. ახსნა-განმარტებითი მეთოდი</li> <li>3. დისკუსია/დებატები</li> <li>4. შემთხვევის ანალიზი (Case Study)</li> <li>5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება</li> <li>6. წიგნზე/სტატიაზე მუშაობის მეთოდი.</li> <li>7. ჯგუფური მუშაობა</li> <li>8. წერითი მუშაობა: რეფერატის, ესეს, პრეზენტაციის მომზადება</li> </ol>
--------------------------------	---

სტუდენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები	<p>სტუდენტი უნდა დაესწროს ლექციებსა და სემინარებს. დაუშვებელია ლექციის გაცდენა არასაპატიო მიზეზით. სტუდენტის მიერ გაცდენილი ლექციების და სემინარების აღდგენის რეგულაციას ახორციელებს კავკასიის უნივერსიტეტის მონიტორინგის სამსახური.</p> <p>სტუდენტს მოეთხოვება ყურადღებით მოუსმინოს ლექტორს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს სალექციო თემის ირგვლივ გამართულ დისკუსიებსა და დებატებში.</p> <p>დაუშვებელია წერილობითი და ზეპირი გამოკითხვის, შუალედური და საბოლოო გამოცდების დროს ნებისმიერი სახის გადალაპარაკება სტუდენტებს შორის, წიგნიდან, ნაბეჭდი მასალიდან ან ერთმანეთისაგან გადაწერა. აღნიშნული წესის დამრღვევი სტუდენტი დატოვებს აუდიტორიას და გამოცდა ჩაუბარებლად ჩათვლება.</p> <p>სტუდენტი კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდეს სასწავლო პროგრამის სწავლების პროცესში მიცემულ ყველა დავალებას და სათანადოდ ემზადებოდეს შუალედური და საბოლოო გამოცდების ჩასაბარებლად.</p>
--	--

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები	გამოკითხვის ფორმა	რაოდენობა	შეფასება	სულ ქულათა რაოდენობა
	პრეზენტაცია	1	20	20
	ესე	1	20	20
	შუალედური გამოცდა	1	30	30
	დასკვნითი გამოცდა	1	30	30
<b>სულ ჯამი:</b>				<b>100 ქულა</b>

**ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სისტემა**

სტუდენტის მიერ სასწავლო მასალის ათვისებისა და გაანალიზების, თეორიული ცოდნისა და ფაქტობრივი ინფორმაციის მიღების შედეგად საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და არგუმენტაციის უნარი შეფასდება ზეპირი პრეზენტაციისა და ესეს საფუძველზე.

სტუდენტის მიერ ამა თუ იმ საერთაშორისო კონფლიქტის შესახებ დაწერილი ესე (შემთხვევის ანალიზი) შეფასდება მაქსიმუმ 20 ქულით შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1) ესეს სტრუქტურა და ტექნიკური გამართულობა (ფორმატი, გვერდების რაოდენობის დაცვა, და ა.შ.), 2) თეორიული ნაწილი (ჰიპოთეზის/მოსაზრების არჩევა, თეორიის მისადაგება, ლოგიკა, არგუმენტაცია, და ა.შ.), 3) შინაარსობრივი/ინფორმაციული მხარე (ფაქტების მოძიება, ინფორმაციის სიზუსტე, და ა.შ.).

სტუდენტის მიერ მომზადებული ინდივიდუალური პრეზენტაცია მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე რომელიმე საერთაშორისო კონფლიქტზე შეფასდება მაქსიმუმ 20 ქულით შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1) პრეზენტაციის ფორმატი (რეგლამენტის დაცვა, წარმოდგენილი მასალის ვიზუალური გაფორმება, და სხვა), 2) შინაარსი (საკითხის დასმა, ვითარების ანალიზი, პრობლემის გადაწყვეტის გზების წარმოდგენა, და სხვა), 3) აუდიტორიასთან კონტაქტი (აუდიტორიიდან დასმულ კითხვებზე არგუმენტირებული პასუხების გაცემა, და სხვა).

შუალედურ გამოცდაზე სტუდენტის მიერ 6 ღია კითხვაზე გაცემული პასუხები შეფასდება მაქსიმუმ 5-5

ქულით (ანუ ჯამში 30 ქულით).

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ 6 ღია კითხვაზე გაცემული პასუხები შეფასდება 5-5 ქულით (ანუ ჯამში 30 ქულით).

შუალედურ და საბოლოო წერით გამოცდებზე სტუდენტის მიერ განვლილი მასალის ცოდნა შემდეგი კრიტერიუმებით შეფასდება:

*ღია კითხვა - მაქსიმალური შეფასება 5 ქულა*

- 5 ქულა:** პასუხი სრულია. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გამართულია. თითქმის არ არის შეცდომები. ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.
- 4 ქულა:** პასუხი ნაწილობრივ სრულია. საკითხი მეტწილად კარგად არის გამოცემული, მაგრამ შინაარსობრივი და/ან არგუმენტაციის თვალსაზრისით ამომწურავი არ არის. პასუხის სტრუქტურა დასახვეწია. არის რამდენიმე შეცდომა. ტერმინოლოგია მეტწილად დაცულია. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.
- 3 ქულა:** პასუხი არასრულია. საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, მაგრამ აქვს ნაკლოვანებები შინაარსობრივი და/ან არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა ბოლომდე გამართული არ არის. არის რამდენიმე სერიოზული შეცდომა. ტერმინოლოგია მეტ-ნაკლებად დაცულია. სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწილობრივ ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.
- 2 ქულა:** პასუხი ძირითადად არასრულია. საკითხი არ არის დამაკმაყოფილებლად გადმოცემული. აქვს მრავალი ნაკლოვანება როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გაუმართავია. არის სერიოზული შეცდომები. ტერმინოლოგია ხშირად მცდარია. სტუდენტი არადააკმაყოფილებლად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა.
- 1 ქულა:** პასუხი არსებითად ნაკლოვანია/მცდარია. საკითხი ცუდად არის გადმოცემული როგორც შინაარსობრივი, ისე არგუმენტაციის თვალსაზრისით. პასუხის სტრუქტურა გაუმართავია. არის მრავალი სერიოზული შეცდომა. ტერმინოლოგია შეუსაბამოა. სტუდენტი არ ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არ აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა.
- 0 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის მოცემული.

შეფასების ინდექსირებული სისტემა და მაჩვენებლები		
	შეფასების შკალა	ქულა
ფრიადი	A (91%-ზე მეტი)	91-100
ძალიან კარგი	B (81%-90%)	81-90
კარგი	C (71%-80%)	71-80
დამაკმაყოფილებელი	D (61%-70%)	61-70
საკმარისი	E (51%-60%)	51-60
ვერ ჩააბარა	FX (41%-50%)	41-50
ჩაიჭრა	F (40% და ნაკლები)	0-40

აკადემიური კალენდარი (ლექციებისა და სემინარების გადანაწილება სემესტრში)			
I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
ლექცია - 2 სთ.	ლექცია - 2 სთ.	ლექცია - 1 სთ. პრეზენტაცია-დისკუსია - 1 სთ..	ლექცია - 1 სთ. პრეზენტაცია-დისკუსია - 1 სთ.
V კვირა	VI კვირა	VII კვირა	VIII-IX კვირა

ლექცია - 1 სთ. პრეზენტაცია- დისკუსია - 1 სთ.	ლექცია - 1 სთ. პრეზენტაცია- დისკუსია - 1 სთ.	მზადება შუალედური გამოცდისთვის. კონსულტაცია - 1 სთ.	შუალედური გამოცდა - 2 სთ.
<b>X კვირა</b>	<b>XI კვირა</b>	<b>XII კვირა</b>	<b>XIII კვირა</b>
ლექცია - 2 სთ.	ლექცია - 1 სთ. პრეზენტაცია- დისკუსია - 1 სთ.	ლექცია - 1 სთ. პრეზენტაცია-დისკუსია - 1 სთ.	ლექცია - 1 სთ. პრეზენტაცია-დისკუსია - 1 სთ.
<b>XIV კვირა</b>	<b>XV კვირა</b>	<b>XVI კვირა</b>	<b>XVII კვირა</b>
ლექცია - 1 სთ. პრეზენტაცია- დისკუსია - 1 სთ.	ლექცია - 1 სთ. პრეზენტაცია- დისკუსია - 1 სთ.	პრეზენტაცია-დისკუსია - 2 სთ.	მზადება დასკვითი გამოცდისთვის. კონსულტაცია - 1 სთ.
<b>XVIII კვირა</b>	<b>XIX კვირა</b>	<b>XX კვირა</b>	<b>XXI კვირა</b>
დასკვნითი გამოცდა - 3 სთ.		დასკვნითი გამოცდის აღდგენა	Fx – გადაბარება

### სასწავლო კურსის შინაარსი

მეცადინეობების კალენდარული გეგმა					
მეცადინეობის დრო და ადგილი		დღე -	დაწყება -	დამთავრება -	აუდიტორია
N	თარიღი	მეცადინეობის თემა, საშინაო დავალება, ლიტერატურა			
1-ლი კვირა		<p>📖 თემა 1. საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობის კვლევები - შესავალი.</p> <p>განსახილველი საკითხები:</p> <p>სავალდებულო ლიტერატურა</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. Oliver Richmond, <i>Peace in International Relations</i>, pp. 1-18</li> <li>2. Oliver Ramsbotham, Tom Woodhouse and Hugh Miall, <i>Contemporary Conflict Resolution</i>, pp. 4-34</li> </ol> <p>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. Peter Lawler, "Peace Studies", in Paul D. Williams (ed), <i>Security Studies: An Introduction</i>, pp. 73-88</li> </ol>			
მე-2 კვირა		<p>📖 თემა 2. საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში: იდეალიზმი და კლასიკური ლიბერალიზმი</p> <p>განსახილველი საკითხები:</p> <p>სავალდებულო ლიტერატურა</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. Oliver Richmond, <i>Peace in International Relations</i>, pp. 21-39</li> </ol> <p>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. Paul R. Viotti, Mark V. Kauppi (eds.), <i>International Relations Theory</i>, pp. 129-137</li> </ol>			
მე-3 კვირა		<p>📖 თემა 3. საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში: რეალიზმი</p> <p>განსახილველი საკითხები:</p> <p>სავალდებულო ლიტერატურა</p>			

		1. Oliver Richmond, <i>Peace in International Relations</i> , pp. 40-57
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		1. Paul R. Viotti, Mark V. Kauppi (eds.), <i>International Relations Theory</i> , pp. 39-128
მე-4 კვირა		📖 თემა 4. საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში: მარქსიზმი
		განსახილველი საკითხები:
		სავალდებულო ლიტერატურა
		1. Oliver Richmond, <i>Peace in International Relations</i> , pp. 58-72
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		1. Paul R. Viotti, Mark V. Kauppi (eds.), <i>International Relations Theory</i> , pp. 189-237
		პრეზენტაცია-დისკუსია - სტუდენტთა ინდივიდუალური პრეზენტაციები მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტებზე (20 ქულა)
მე-5 კვირა		📖 თემა 5. საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში: თანამედროვე ლიბერალიზმი, ინგლისური სკოლა და კონსტრუქცივიზმი
		განსახილველი საკითხები:
		სავალდებულო ლიტერატურა
		1. Oliver Richmond, <i>Peace in International Relations</i> , pp. 73-96
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		1. Paul R. Viotti, Mark V. Kauppi (eds.), <i>International Relations Theory</i> , pp. 137-187, 239-274, 277-321
		პრეზენტაცია-დისკუსია - სტუდენტთა ინდივიდუალური პრეზენტაციები მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტებზე (20 ქულა)
მე-6 კვირა		📖 თემა 6. კონფლიქტის მოგვარების კლასიკური თეორიები და მათი მიმართება საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინასთან
		განსახილველი საკითხები:
		სავალდებულო ლიტერატურა
		1. Oliver Richmond, <i>Peace in International Relations</i> , pp. 97-117
		2. Oliver Ramsbotham, Tom Woodhouse and Hugh Miall, <i>Contemporary Conflict Resolution</i> , pp. 35-62
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		1.
		პრეზენტაცია-დისკუსია - სტუდენტთა ინდივიდუალური პრეზენტაციები მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტებზე (20 ქულა)
მე-7 კვირა		განვლილი მასალის შეჯამება, კონსულტაცია
მე-8 კვირა		შუალედური გამოცდა – 30 ქულა
მე-9 კვირა		
მე-10 კვირა		📖 თემა 7. საერთაშორისო კონფლიქტების კლასიფიკაცია და თანამედროვე ტენდენციები
		განსახილველი საკითხები:

		სავალდებულო ლიტერატურა
		1. Oliver Ramsbotham, Tom Woodhouse and Hugh Miall, <i>Contemporary Conflict Resolution</i> , pp. 63-93
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		1. Stuart J. Kaufman, "Ethnic Conflict", in Paul D. Williams (ed), <i>Security Studies: An Introduction</i> , pp. 200-215
მე-11 კვირა		<p>📖 თემა 8. საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების თანამედროვე თეორიები</p> <p>განსახილველი საკითხები:</p> <p>სავალდებულო ლიტერატურა</p> <p>1. Oliver Ramsbotham, Tom Woodhouse and Hugh Miall, <i>Contemporary Conflict Resolution</i>, pp. 94-122</p> <p>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p> <p>1.</p> <p>პრეზენტაცია-დისკუსია - სტუდენტთა ინდივიდუალური პრეზენტაციები მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტებზე (20 ქულა)</p>
მე-12 კვირა		<p>📖 თემა 9. მშვიდობის დაცვა: საერთაშორისო კონფლიქტების პრევენცია და სამშვიდობო მისიები</p> <p>განსახილველი საკითხები:</p> <p>სავალდებულო ლიტერატურა</p> <p>1. Oliver Ramsbotham, Tom Woodhouse and Hugh Miall, <i>Contemporary Conflict Resolution</i>, pp. 123-170</p> <p>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p> <p>1. Michael Pugh, "Peace Operations", in Paul D. Williams (ed), <i>Security Studies: An Introduction</i>, pp. 407-421</p> <p>პრეზენტაცია-დისკუსია - სტუდენტთა ინდივიდუალური პრეზენტაციები მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტებზე (20 ქულა)</p>
მე-13 კვირა		<p>📖 თემა 10. მშვიდობის დამყარება: საერთაშორისო კონფლიქტების მედიაცია და მოლაპარაკებები</p> <p>განსახილველი საკითხები:</p> <p>სავალდებულო ლიტერატურა</p> <p>1. Oliver Ramsbotham, Tom Woodhouse and Hugh Miall, <i>Contemporary Conflict Resolution</i>, pp. 171-197</p> <p>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p> <p>1.</p> <p>პრეზენტაცია-დისკუსია - სტუდენტთა ინდივიდუალური პრეზენტაციები მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტებზე (20 ქულა)</p> <p>წერიტი დავალება მე-17 კვირისთვის – საერთაშორისო კონფლიქტის შესახებ ესე (შემთხვევის ანალიზი)</p>
მე-14 კვირა		<p>📖 თემა 11. მშვიდობის დამყარება: კოლექტიური უსაფრთხოება, დაცვის პასუხისმგებლობა, ჰუმანიტარული ინტერვენცია და ომის შემდგომი რეკონსტრუქცია</p>



		განსახილველი საკითხები:
		სავალდებულო ლიტერატურა
		1. Oliver Ramsbotham, Tom Woodhouse and Hugh Miall, <i>Contemporary Conflict Resolution</i> , pp. 198-225, 317-331
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		1. Alex J. Bellamy, "The Responsibility to Protect", in Paul D. Williams (ed), <i>Security Studies: An Introduction</i> , pp. 422-437 2. Thomas G. Weiss and Danielle Zach Kalbacher, "The United Nations", in Paul D. Williams (ed), <i>Security Studies: An Introduction</i> , pp. 325-342
		პრეზენტაცია-დისკუსია - სტუდენტთა ინდივიდუალური პრეზენტაციები მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტებზე (20 ქულა)
მე-15 კვირა		📖 თემა 12. საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება: მშვიდობის მშენებლობა, მხარეების შერიგება, ნდობის აღდგენა
		განსახილველი საკითხები:
		სავალდებულო ლიტერატურა
		1. Oliver Ramsbotham, Tom Woodhouse and Hugh Miall, <i>Contemporary Conflict Resolution</i> , pp. 226-261
		დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა
		1. Oliver Ramsbotham, Tom Woodhouse and Hugh Miall, <i>Contemporary Conflict Resolution</i> , pp. 305-316, 332-373
		პრეზენტაცია-დისკუსია - სტუდენტთა ინდივიდუალური პრეზენტაციები მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტებზე (20 ქულა)
მე-16 კვირა		პრეზენტაცია-დისკუსია - სტუდენტთა ინდივიდუალური პრეზენტაციები მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტებზე (20 ქულა)
მე-17 კვირა		განვლილი მასალის შეჯამება, კონსულტაცია.  ესეების ჩაბარების ბოლო ვადა.
მე-18 კვირა		დასკვნითი გამოცდა – 30 ქულა
მე-19 კვირა		დასკვნითი გამოცდა – 30 ქულა
მე-20 კვირა		დასკვნითი გამოცდის აღდგენა
21-ე კვირა		FX-ის გადაბარება

ლექტორი: თორნიკე თურმანიძე //

(თარიღი).....

პროგრამის ხელმძღვანელი .....

(თარიღი).....

ფაკულტეტის / სკოლის დეკანი .....

(თარიღი).....

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი.....

(თარიღი).....